ემპათიის, მზრუნველობის პრინციპისა და რეზილიენსის ურთიერთმიმართება ქართველ მოზარდებში

ნინო უსენაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ემპათიის (როგორც კოგნიტური, ასევე ემოციური), მზრუნველობის პრინციპისა და რეზილიენსის ურთიერთმიმართება ქართველი მოზარდების მაგალითზე. იქიდან გამომდინარე, რომ მოზარდობა ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კრიტიკული პერიოდია, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადაპტურ ფუნქციონირებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მოცემული კვლევის მიზანი იყო დაედგინა არსებობს თუ არა და არსებობის შემთხვევაში რა სახის კავშირია ემპათიას, მზრუნველობის პრინციპსა და რეზილიენსს შორის. ასევე განსხვავდებიან თუ არა სხვადასხვა სქესისა და ასაკის წარმომადგენლები მოცემული ფსიქოლოგიური მახასიათებლებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 133 მონაწილემ, აქედან 71 მდედრობითი, ხოლო 62 მამრობითი სქესის წარმომადგენელია. მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 12-დან 18 წლამდე. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია სამი თვითადმინისტრირებული კითხვარი (ემპათიის, რეზილიენსისა და მზრუნველობის პრინციპის კითხვარი). კვლევის შედეგებმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი მოცემულ ცვლადებს შორის. შედეგებისმიხედვით,გოგონებში ემპათია და მზრუნველობის პრინციპი შეგვიძლია მივიჩნიოთ რეზილიენსის პრედიქტორად, ხოლო ვაჟებშირეზილიენსის პრედიქტორად მიიჩნევა - კოგნიტური ემპათია.ასევე გამოიკვეთა სქესთა შორის განსხვავება ემპათიის მაჩვენებელსა და მზრუნველობის პრინციპს შორის, ხოლო განსხვავება რეზილიენსის მაჩვენებლებში სქესის მიხედვით არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

საკვანძო სიტყვები: ემპათია; რეზილიენსი; მზრუნველობის პრინციპი; მორალური განვითარება.